ქალბატონ გ.გ-ს

მის: თბილისი, ვერცხლის ქ. N 41

რეკომენდაცია

გარეგნობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო გ.,

2016 წლის 27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს N9683/16 განცხადებით მომართეს ს. ნ-მა, დ. ფ-მა და გ. ი-მა (შემდგომში განმცხადებლები). განცხადების თანახმად, ისინი გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი გ. გ-ის (შემდგომში მოპასუხე) მხრიდან, ვინაიდან გარეგნობის და სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო მოპასუხემ მათთან მოშალა იმ შენობის ქირავნობის ხელშეკრულება, რომელშიც განმცხადებლებს გახსნილი ჰქონდა ვეგან კაფე „კივი“. ამასთან, 2016 წლის 30 ივნისს განმცხადებლებმა სახალხო დამცველს მომართეს N8414/16 განცხადებით, რომლითაც დროებითი ღონისძიების სახით ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გადავადებას ითხოვდნენ. განმცხადებლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“.

1. ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 30 ივნისის განცხადების თანახმად, 2016 წლის 29 მაისს კაფე „კივის“ პერსონალს ნეო ნაცისტური დაჯგუფების „ბერგმანის“ წევრებმა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა განმცხადებლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ვეგანური იდეოლოგიის დამცირების მიზნით, კაფეში მიიტანეს ხორცის პროდუქტი. ამ ფაქტს ჯერ „ბერგმანის“ ჯგუფის წევრებსა და კაფეს თანამშრომლებს, შემდეგ კი ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და კაფეს პერსონალს შორის დაპირისპირება მოჰყვა. მომხდარ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე მიმდინარეობს გამოძიება.

2015 წლის 4 დეკემბერს გ. გ-ს (მესაკუთრე) და ს. ნ-ს (დამქირავებელი) შორის დაიდო ქ. თბილისში, ვერცხლის ქუჩა N41-ში მდებარე ფართზე ქირავნობის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. მოპასუხე აღნიშნული ფართის მეზობლად ცხოვრობს. დაქირავებულ ფართში საინიციატივო ჯგუფმა, რომლის წევრებიც ასევე არიან დ. ფ. და გ. ი., გახსნა ვეგანური კაფე „კივი“. 29 მაისს მომხდარი ინციდენტის შემდგომ, მესაკუთრემ დამქირავებელს მოსთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა, რისთვისაც ერთთვიანი ვადა განუსაზღვრა. განცხადების

მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის მთავარ მოტივს წარმოადგენს პერსონალის და სტუმრების გარეგნობა. კაფეს თანამშრომლების ახსნა-განმარტებების თანახმად, მოპასუხე და სხვა მეზობლები მათი გარეგნობის მიმართ ცინიკურ და აგრესიულ დამოკიდებულებას აფიქსირებდნენ, მაგალითად, მესაკუთრის შვილი დანით ემუქრებოდა განმცხადებლის მეგობარს, რომელსაც ეცვა ყვავილებიანი შარვალი და თავის მეგობარს ეხუტებოდა. მესაკუთრის შვილმა მათ მიმართა: „გავიგე ხვალ გეი პარადს აწყობთ და აქ არავინ დავინახო თორემ ყველას მუხლზე გადაგამტვრევთ"; 29 მაისის ინციდენტის შემდეგ მესაკუთრემ განმცხადებელს მოსთხოვა, რომ სტუმრები გარეთ არ გასულიყვნენ სიგარეტის მოსაწევად, რომ მეზობლები არ გაღიზიანებულიყვნენ.

30 ივნისის განცხადებით, განმცხადებლებმა სახალხო დამცველ მიმართეს, რომ საქმის სრულყოფილად შესწავლამდე, დროებითი ღონისძიების სახით, მოპასუხეს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გადაევადებინა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მორიგების ფარგლებში სახალხო დამცველის წარმომადგენელსა და გ. გ-ის წარმომადგენელს შორის მიღწეული შეთანხმებით, კაფეს პერსონალს ფართის დასაცლელად ორკვირიანი დამატებითი ვადა განესაზღვრა.

განმცხადებლების 27 ივლისის განცხადების თანახმად, 29 მაისის ინციდენტის შემდგომ, მესაკუთრის შვილის მხრიდან გამოვლენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე მიმდინარეობს გამოძიება. ინციდენტის შემდეგ მესაკუთრემ დამქირავებლებს აცნობა, რომ ერთი თვის შემდეგ ქირავნობის ხელშეკრულებას შეწყვეტდა. ამ პერიოდის გასვლამდე, მესაკუთრემ განმცხადებლებს მოსთხოვა კაფეს წინ, ქუჩაში განლაგებული მაგიდების აღება, რაც განმცხადებლებმა შეასრულეს.

განცხადების თანახმად, კაფე „კივის", რომელიც 2016 წლის 15 ივლისამდე ფუნქციონირებდა, ჰქონდა სოციალური ფუნქცია. ის იყო იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც აერთიანებდა მოხალისეებს და მიზნად ისახავდა არაძალადობრივი სხვადასხვა მარგინალიზებული ჯგუფების ემანსიპაციისკენ მიმართული იდების გენერირებას საზოგადოებაში. კაფეს პერსონალი გამოირჩევა არანორმატიული გარეგნობით, სტუმრები კი მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენლები არიან. კაფეს თანამშრომლების განმარტებით, 29 მაისის ინციდენტის დროს, ფართის მესაკუთრის შვილი დანით ხელში შევიდა კაფეში, მათი მისამართით იგინებოდა და თანამშრომელ ს. ხ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა („თმით ითრია და ძირს დააგდო"). განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ განმცხადებლები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ხელშეკრულების პირობებს, ქირას ყოველთვის დათქმულ დროს იხდიდნენ და რამდენჯერმე, მოპასუხის თხოვნით, წინასწარაც გადაიხადეს თანხა. წერილის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ძირითადი მოტივი იყო განმცხადებლების არანორმატიული გარეგნობა, რაც მეზობლებს აღიზიანებდათ. „ნეტგაზეთისთვის" მიცემულ ინტერვიუში მესაკუთრე ამბობს: „ჩვენი მენტალიტეტით სულ სხვა ცხოვრება გვაქვს და არ ვართ იქამდე მისულები, კარგი ყური გაიხვრიტე, ხომ? რა არის, კაცო, - ცხვირი, ყური, ტუჩი, თვალი, წარბი, ლოყა..ჭიპი". განცხადების თანახმად,

განმცხადებლებს ხელშეკრულების შეწყვეტით ხელი შეეშალა მფლობელობის უფლებით სარგებლობაში, როგორც მათი გარეგნობის, ასევე იმის გამო, რომ მესაკუთრე მათ ლგბტ თემის წარმომადგენლებად აღიქვამდა. განცხადების მიხედვით, მესაკუთრე ხელშეკრულების მოშლას უკავშირებს აბსტრაქტული ზიანის საფრთხეს, კერძოდ, თუ კაფეს პერსონალი არ დატოვებს ფართს, არსებობს საფრთხე, რომ თავდასხმა განმეორდება და მის საკუთრებას ზიანს მიაყენებენ. განმცხადებლის პოზიციის თანახმად, ერთი თავდასხმა მისი განმეორების ვარაუდის საფუძველს არ იძლევა, მომხდარ ინციდენტზე გამოძიება დაწყებულია და, შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხე ვერ იქნება განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი.

მოპასუხე გ. გ-ს 2016 წლის 3 ოქტომბრის წერილის თანახმად, განმცხადებლები ტროტუარს იყენებდნენ კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ, მაგიდები განათავსეს ქუჩაში, რითიც ზღუდავდნენ საჯარო სივრცეს. ფეხით მოსიარულეები იძულებულნი იყვნენ, ესარგებლათ საავტომობილო გზით, რომელიც ვიწროა. ტროტუარზე განთავსებულ მაგიდებთან მუდმივი თავყრილობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა საყვედურს გამოთქვამდა მესაკუთრის მიმართ. მესაკუთრემ დამქირავებლებს მაგიდების აღება მოსთხოვა, რადგან თვლიდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მას დააჯარიმებდა, ამიტომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წინასწარ შეტყობინების ერთთვიანი ვადის დაცვით, გადაწყვიტა დამქირავებელთან ხელშეკრულება მოეშალა. მოპასუხის განმარტებით, მეზობლებთან კონფლიქტი პროვოცირებული იყო დამქირავებლების მიერ. მესაკუთრემ ასევე განმარტა, რომ კონსტიტუციით მინიჭებული აქვს უფლება, დაუბრკოლებლად დააფიქსიროს თავისი მოსაზრება სხვა ადამიანების გარეგნობასა და სტილზე.

განმცხადებლების მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი 2016 წლის 18 ოქტომბრის წერილის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის არც ერთი წინაპირობა არ არსებობდა, ვინაიდან განმცხადებლებმა მაგიდები ტროტუარიდან აიღეს და, შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური მესაკუთრეს არ დააჯარიმებდა. ამას გარდა, მაგიდების აღების მოთხოვნა მესაკუთრეს მხოლოდ ინციდენტის შემდეგ გაუჩნდა. მოთხოვნის შესრულების მიუხედავად, ერთი თვის შემდეგ, მესაკუთრემ შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება. განმცხადებელმა ასევე არ გაიზიარა მესაკუთრის არგუმენტი გამოხატვის თავისუფლების ნაწილში. წერილის თანახმად, ეს არგუმენტი კიდევ უფრო განამტკიცებს ვარაუდს, რომ მესაკუთრემ ხელშეკრულება განმცხადებლების გარეგნობისა და მათი ლგბტ თემისადმი სავარაუდო კუთვნილების გამო შეწყვიტა.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო აქტებით. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.***

განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[1]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ასევე ვრცელდება ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე.

2.2. კანონით გათვალისწინებული უფლებები რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. პირადი ცხოვრება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი.[2] პირადი ცხოვრების თავისუფლების ფარგლებში იგულისხმება ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სახელის, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობა, ასევე პირის უფლება დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან და სხვა.[3]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას. აღნიშნული მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით", არამედ მოიცავს, გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას,[4] ასევე თვითრეალიზების უფლებას, იქნება ეს პერსონალური განვითარების გზით,[5] თუ სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების და განვითარების მეშვეობით; პირადი ავტონომიის ცნება მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ხაზს უსვამს მე-8 მუხლით განსაზღვრულ გარანტიებს.[6] პირადი

---

[1] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom,* nos. 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II, 4

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II, 5

[4] ECtHR, *Niemietz v. Germany*, no. 13710/88, 16/12/1992, § 29

[5] ECtHR, *Christine Goodwin v. United Kingdom [GC]),* no. 28957/95, 11/07/2002, § 90

[6] ECtHR, *Fernandez Martinez v. Spain*, no. 56030/07, 12/06/2014, §126

ავტონომიისა და თვითრეალიზების უფლება ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ წარსდგეს და წარმოჩინდეს საჯარო და საზოგადოებრივ ადგილებში.[7]

როგორც გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთი მიზეზი განმცხადებლების განსხვავებული გარეგნობა იყო. კერძოდ, მეზობლებისთვის და მესაკუთრის ოჯახის წევრებისთვის მიუღებელი იყო განმცხადებლებისა და კაფეს სტუმრების ჩაცმულობა, რის გამოც განმცხადებლები ხშირად ისმენდნენ შეურაცხყოფას, ცინიკურ შეფასებებს და შენიშვნებს ფერადი შარვლების, დრეიდების, პირსინგების და სხვა გამოხატვის ფორმების გამო.

საკუთარი არჩევანის საფუძველზე გარეგნობისა და სტილის შერჩევა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან. გამოხატვის არჩეული ფორმის გამო განსხვავებული მოპყრობა კი პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლების დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლიდან გამომდინარე პრინციპის თანახმად, სამოქალაქო სამართლის **ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.** სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს უფლების გამოყენებას იმ მიზნით, რომ უფლების გამოყენებით სხვას მიადგეს ზიანი.[8] აღნიშნული ნორმა და კოდექსის 160-ე მუხლი იცავს მფლობელს მფლობელობის ძალადობის გზით ჩამორთმევისაგან.[9] განსახილველ საქმეში მოპოვებული მტკიცებულებით დასტურდება, რომ განმცხადებელსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით განმცხადებელს მიენიჭა უძრავი ქონებით სარგებლობისა და მისი ფლობის უფლება და შესაბამისად, განმცხადებელი სარგებლობს კოდექსის 575-ე მუხლის დაცვით, რომლის თანახმად, დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ განმცხადებლისთვის ვადაზე ადრე ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა წამოადგენს მფლობელობის უფლებაში ჩარევას.

2.3. *განსხვავებული მოპყრობა*

[7] ECtHR, *S.A.S.v. FRANCE*, no. 43835/11, 01/07/2014, § 139

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება № ას-572-955-06

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება № ას-1018-1293-05

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.[10] ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[11] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დადგენილი წინაპირობა, რომ პირმა უნდა აჩვენოს ანალოგიური პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესადარებელი ჯგუფები იდენტურები უნდა იყვნენ.[12]

როგორც განსახილველ საქმეში იკვეთება, მოპასუხისთვის მიუღებელი იყო განმცხადებლების გარეგნობა. მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები არ უარყოფენ, რომ განმცხადებლებს უფრო ორდინალურად რომ ჩაეცვათ, მათთან არ შეწყდებოდა ხელშეკრულება, ხალხი არ იქნებოდა აგრესიით განწყობილი და მეზობლებიც ადვილად მიიღებდნენ მათ. შესაბამისად, დასტურდება, რომ განსხვავებული მოპყრობა განპირობებულია განმცხადებლების გარეგნობით, შესადარებელი პირები კი არიან მესაკუთრის ფართის ის პოტენციური დამქირავებლები, რომელთა გარეგნობა მოპასუხისთვის მისაღები იქნებოდა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი. აღქმით დისკრიმინაცია კი იმ შემთხვევებში გვხვდება, როდესაც ადამიანს განსხვავებულად ეპყობიან იმის გამო, რომ დისკრიმინაციის ჩამდენის აღქმით, მას დისკრიმინაციისგან რომელიმე დაცული ნიშანი აქვს. ამასთან, როგორც ეს კანონის ნორმიდან იკვეთება, არ აქვს მნიშვნელობა, პირი რეალურად არის თუ არა დაცული ნიშნის მატარებელი. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა განსხვავებული მოპყრობა როგორც გარეგნობის საფუძველზე, ასევე სავარაუდო აღქმით დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. კერძოდ, მესაკუთრე, მისი ოჯახის წევრები და მეზობლები ხშირად აკეთებდნენ მითითებას განმცხადებლების, კაფეს თანამშრომლების და სტუმრების შესაძლო სექსუალურ ორიენტაციაზე. მოპასუხე ამ შეხედულებას აფუძნებდა განმცხადებლების განსხვავებულ გარეგნობასა და სტილზე. მესაკუთრის შვილი გამოთქვამდა შეშფოთებას რომ კაფეს თანამშრომლები „გეი-პარადს“ მოაწყობდნენ და არ სურდა მისი შვილები კაფეს

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2
[11] ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic [GC],* no. 57325/00, 13/11/2007, § 175
[12] ECtHR, *Clift v United Kingdom*, no. 7205/07, 22/11/2010, § 66

თანამშრომლებს დამსგავსებოდნენ. შესაბამისად, სახეზე იყო განსხვავებული მოპყრობა გარეგნობის და სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო.

2.4. *ლეგიტიმური მიზანი და არათანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობის საკითხი*

საკუთრების უფლება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებაა, თუმცა აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და რიგ შემთხვევებში ექვემდებარება შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიიჩნია, რომ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, მესაკუთრეს არ ჰქონდა დამქირავებლისთვის ქირავნობის შეწყვეტის უფლება.[13] ამასთან, კონვენციიდან არ გამომდინარეობს მესაკუთრის უფლება, ვადაზე ადრე, სურვილის მიხედვით და ნებისმიერ გარემოებაში შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება.[14]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი აღიარებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და უთითებს, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. იმავე კოდექსის 557-ე და 561-ე მუხლები აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის წესს, კერძოდ, 561-ე მუხლის მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სსკ 557-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსადები საფუძველია: ა) დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია; ბ) გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისათვის; გ) დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას; დ) დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს.

---

[13] ECtHR, *Velosa Barreto v. Portugal*, no. 18072/91, 21/11/1995, § 35

[14] ECtHR, *Velosa Barreto v. Portugal*, no. 18072/91, 21/11/1995, § 24

მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.[15] სამოქალაქო კოდექსიც, გამქირავებელს არ აძლევს ხელშეკრულების მოშლის აბსოლუტურ უფლებას და განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია.

მოპასუხემ განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი სამი ლეგიტიმური მიზანი დაასახელა, რომელთაც თანმიმდევრობით განვიხილავთ.

პირველ რიგში, მოპასუხემ განმარტა, რომ მას აქვს უფლება, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები და საჯაროდ გამოხატოს უარყოფითი დამოკიდებულება განმცხადებლების მიმართ მათი გარეგნობის გამო.

მოპასუხის მიერ დასახელებულ *პირველ* ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლების შელახვა ვერ გამართლდება საზოგადოებაში დამკვიდრებული თუ კონკრეტული ადამიანისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპული შეხედულებებით, რომელიც რომელიმე ჯგუფს თუ ადამიანს საკუთარი სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე აღიქვამს და მათგან ილუზორულ საფრთხეს ელის. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ის გარემოება, რომ განმცხადებლების გარეგნობა ფართის მესაკუთრისთვის მიუღებელი იყო, ვერ გაამართლებს მოპასუხის მოსაზრების პრაქტიკაში რეალიზებას ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გზით, რამდენადაც სტერეოტიპებზე დაფუძნებული მოპყრობა ვერ მიიჩნევა ლეგიტიმურ მიზნად, რომლითაც შეიძლება განსხვავებული მოპყრობა გამართლდეს.

მეორე ლეგიტიმურ მიზნად მოპასუხემ დაასახელა 29 მაისის ინციდენტის შემდეგ კაფეზე თავდამსხმელების და მეზობლების მიერ განმცხადებლების მიმართ გამოვლენილი აგრესია, მესაკუთრე გამოთქვამდა შეშფოთებას, რომ აგრესიულად განწყობილი პირები მის ქონებას დააზიანებდნენ. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოების თანახმად, თავდასხმის და შეურაცხყოფის მსხვერპლი იყო თავად საინიციატივო ჯგუფი. მესაკუთრე მიიჩნევდა, რომ თუ განმცხადებლები გააგრძელებდნენ მისი ფართით სარგებლობას, არსებობდა მათზე თავდასხმის განმეორების ალბათობა, რის შედეგადაც შესაძლო იყო მისი ქონება დაზიანებულიყო. საკუთრების დაცვა შეიძლება იყოს ლეგიტიმური მიზანი, რომლითაც, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა გამართლდეს განსხვავებული მოპყრობა, თუმცა, აუცილებელია, რომ ამ მიზნის მიღწევისთვის გამოყენებული საშუალება უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ ღონისძიებას წარმოადგენდეს.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II, 3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება #1/1/539, II, 6

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამასთან, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.[16] საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ვერც ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ინტერესი თავისთავად ვერ გაამართლებს უფლებაში იმაზე უფრო მკაცრ ჩარევას, ვიდრე ეს აუცილებელი და საკმარისია ამ მიზნის მისაღწევად. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არც ერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე.[17] აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც საკუთრების დაზიანების საფრთხე არ მომდინარეობდა განმცხადებლებისგან, და ამასთან, საკამათოა, რამდენად რეალური იყო თავდასხმის განმეორების საფრთხე, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა და, შესაბამისად, ფართის დატოვების მოთხოვნა არ იყო მიზნის მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალება, რომელიც შეიძლებოდა მოპასუხეს გამოეყენებინა.

მესამე ლეგიტიმურ მიზნად მესაკუთრემ დაასახელა ის გარემოება, რომ განმცხადებლები არღვევდნენ კანონს, რის გამოც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მესაკუთრის დაჯარიმების საფრთხე არსებობდა, რადგან განმცხადებლებს, კანონის საწინააღმდეგოდ, კაფეს წინ, ქუჩის ტერიტორიაზე მაგიდები და სკამები ჰქონდათ განლაგებული. აღნიშნულთან მიმართებით სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ მოპასუხემ ვერ დაასახელა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მისი დაჯარიმების საფრთხე შეიქმნა. ასევე საგულისხმოა, რომ მაგიდების ქუჩაში განლაგებასთან დაკავშირებით 29 მაისამდე მოპასუხეს განმცხადებლების მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს, ასევე, მესაკუთრის მოთხოვნისთანავე, განმცხადებლებმა მაგიდები ქუჩიდან აიღეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც, თუ დამქირავებლის გამო მესაკუთრეს ადგება ზიანი, მას შეუძლია ზიანის ანაზღაურება დამქირავებელს მოსთხოვოს.[18] მითითებული გარემოებები ცხადყოფს, რომ დაჯარიმების რეალური საფრთხე არ არსებობდა, რის გამოც განმცხადებლებთან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა ვერც ამ შემთხვევაში ჩაითვლება მიზნის მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებად.

გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებლების მიზეზით მოპასუხის საკუთრების დაზიანების საფრთხე, ფაქტი ან სახელშეკრულებო ვალდებულების სხვაგვარი დარღვევა არ გამოვლინდა, რაც განაპირობებს იმას, რომ საქართველოს

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512, II, 60

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 27

[18] მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 575-ე მუხლის თანახმად, ს. ნ-ს დაქირავებულ ფართზე მფლობელობის უფლება არ დაუკარგავს და მოპასუხის მიერ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა არ იყო გამართლებული.

სახალხო დამცველი, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ მესაკუთრის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის რეალური მიზეზი ემყარებოდა მის სტერეოტიპულ განწყობებს კონკრეტული გარეგნობის მქონე ადამიანების და ლგბტ ჯგუფთან მათი სავარაუდო აფილირების შესახებ. შესაბამისად, სწორედ განმცხადებლების გამოხატვის ფორმა და სავარაუდოდ ლგბტ თემის წარმომადგენლებთან ასოციაცია გახდა ხელშეკრულების მოშლის და განსხვავებული მოპყრობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ გ. გ-მა ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია საინიციატივო ჯგუფის წევრების მიმართ გარეგნობის ნიშნით და ასოციაციით დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. შესაბამისად, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს გ. გ-ს, ქირავნობიდან გამომდინარე სახელშეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობებში მომავალში თავი შეიკავოს ნებისმიერი ნიშნის გამო დისკრიმინაციული მოპყრობისაგან.

პატივისცემით,